

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირება

სააგენტოს მიერ სერტიფიცირება ხორციელდება ოთხ ეტაპად:

I ეტაპი – წინასასერტიფიკაციო ეტაპი, რომელიც მოიცავს:

ა.ა) განცხადებისა და თანდართული საბუთების სააგენტოში წარდგენას;

ა.ბ) განცხადებისა და თანდართული საბუთების სააგენტოში წინასწარ განხილვასა და შეფასებას;

II ეტაპი – განმცხადებლის სამუშაო ადგილზე ფაქტობრივი მდგომარეობის შემოწმება;

III ეტაპი – სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღება;

IV ეტაპი – მუდმივი ზედამხედველობა.

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

განმცხადებელი, სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მისაღებად ან მოქმედების ვადის გასაგრძელებლად სააგენტოში წარადგენს განცხადებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 20 აპრილის №1-1/1025 ბრძანებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი

ბ) განმცხადებლის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და ორგანიზაციული სტრუქტურა პასუხისმგებელი პირების მითითებით;

გ) წერილობითი თანხმობა იმისა, რომ განმცხადებელი, ჩიკაგოს კონვენციის 67-ე მუხლის შესაბამისად, იკავს მიერ დადგენილი ფორმებით, წელიწადში ერთხელ მიაწვდის სააგენტოს გადაყვანა-გადაზიდვების (საავიაციო სამუშაოების) ანგარიშებს, ხარჯების სტატისტიკას და საფინანსო მონაცემებს, გარდა 5700 კგ და ნაკლები მაქსიმალური ასაფრენი მასის და არაუმეტეს 19 სერტიფიცირებული სამგზავრო ადგილის მქონე საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტისა;

დ) საფრენოსნო და ტექნიკური პერსონალის მონაცემები ამ წესის დანართი №7-ის მიხედვით. თუ განმცხადებლის საფრენოსნო და ტექნიკური პერსონალის რომელიმე წევრი სხვა ავიასაწარმოშიც ასრულებს შესაბამის მოვალეობას, მონაცემებს უნდა დაერთოს ამ სხვა ავიასაწარმოს ხელმძღვანელის თანხმობა;

ე) საექსპლუატაციოდ გამოსაყენებელი სხ-ის მონაცემები:

ე.ა) სამოქალაქო სხ-ის საფრენად ვარგისობის მოწმობის ასლი;

ე.ბ) სამოქალაქო სხ-ის რეგისტრაციის მოწმობის ასლი;

ე.გ) იმ საბორტო ჰაერსანაოსნო მოწყობილობების გამოყენების უფლება, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო ფრენის განხორციელებას (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში);

ვ) ხელმძღვანელების, ფრენების უსაფრთხოების და საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფასთან უშუალოდ დაკავშირებული სპეციალისტების საკვალიფიკაციო მონაცემები ამ წესის №6 დანართის მიხედვით და მათი უფლება მოვალეობები; ამ პირთა კვალიფიკაცია უნდა აკმაყოფილებდეს იკაოს ოფიციალური გამოცემების: GM Doc 9376 C3, C4, Doc 8973 და ევროპის სამოქალაქო ავიაციის კონფერენციის (ECAC) ოფიციალური გამოცემის Doc 30 მოთხოვნებს;

ზ) საექსპლუატაციოდ გამოსაყენებელი სხ-ის საკუთრების დამადასტურებელი ან სხ-ის იჯარის (ლიზინგის) უფლებით ფლობის დამადასტურებელი საბუთი. საქართველოში ან სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული სხ-ის იჯარის (ლიზინგის) ხელშეკრულება უნდა აკმაყოფილებდეს იკაოს ოფიციალური გამოცემის Doc 8335–ს და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს;

თ) სერტიფიკატის მამიებლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დამადასტურებელი პოლის(ებ)ი იმ შესაძლო ზიანის საკომპენსაციოდ, რომელიც შეიძლება მიადგეს ეკიპაჟის წევრს, მგზავრს, ტვირთს, ბარგს და მესამე პირს. პასუხისმგებლობის დაზღვევის ფარგლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას;

ი) საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, იკაოს ოფიციალური გამოცემის DOC 8973-ის („საავიაციო უშიშროების სახელმძღვანელო“) მე-15 თავის („საჰაერო ხომალდების უსაფრთხოება“) და „მართლსაწინააღმდეგო ქმედობისაგან სამოქალაქო ავიაციის უშიშროების დაცვის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის“ მოთხოვნათა შესაბამისად: ი.ა) „საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის პროგრამა“; ი.ბ) „საავიაციო უშიშროების ხარისხის კონტროლის პროგრამა“; ი.გ) „საავიაციო უშიშროების საკითხებში პერსონალის მომზადების პროგრამა“; ი.დ) „მართლსაწინააღმდეგო ქმედობის დროს (ხმელეთზე და ფრენისას) განსახორციელებელი მოქმედებები; ი.ე) საავიაციო უშიშროების სფეროში ავიასპეციალისტებისა და საავიაციო უშიშროების პერსონალის მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №203 ბრძანებით დამტკიცებული „თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესის“ 105-ე მუხლისა და სსიპ– სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 27 დეკემბრის №261 ბრძანების „სამოქალაქო ავიაციის საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფი პერსონალის შერჩევის, მიღების, მომზადების და სერტიფიცირების წესის“ მოთხოვნებს. შენიშვნა: „ი.ბ“, „ი.გ“ „ი.დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხები შეიძლება იყოს როგორც, ავიაგადამზიდველის საავიაციო უშიშროების

უზრუნველყოფის პროგრამის შემადგენელი ნაწილი, ასევე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს, როგორც ცალკე დოკუმენტი.

კ) „უსაფრთხოების მართვის სისტემის პროგრამა“ ქართულ ან ინგლისურ ენაზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს იკაო-ს ოფიციალური გამოცემის DOC 9859 „უსაფრთხოების მართვის სახელმძღვანელოს“, სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №203 ბრძანებით დამტკიცებული „თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესის“ და 2014 წლის 29 დეკემბრის №206 ბრძანებით დამტკიცებული „უსაფრთხოების მართვის სისტემის ზოგადი წესის“ მოთხოვნებს.

ლ) „ბორტგამყოლთა სახელმძღვანელო“ (სამგზავრო რეისების განხორციელების შემთხვევაში)

მ) „ტვირთის ჩატვირთვისა და გადაზიდვის სახელმძღვანელო“ (სატვირთო რეისების განხორციელების შემთხვევაში);

ნ) ავარიულ ვითარებაში ქმედებების გეგმა;

ო) გაუთვალისწინებელ ვითარებაში მოქმედების გეგმა; (შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ცალკე დოკუმენტად, ასევე როგორც ავიაგადამზიდველის საავიაციო უშიშროების პროგრამის შემადგენელი ნაწილი);

პ) საქართველოს სერტიფიცირებულ აეროდრომებზე ბაზირების შემთხვევაში აეროპორტის ტერიტორიაზე მოძრაობის უნარდაკარგული სხ-ის გადაადგილების გეგმა, შეთანხმებული შესაბამის ორგანიზაციასთან, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მოქმედი იკაოს ოფიციალური გამოცემის Doc 9137-ის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს;

ჟ) ხელშეკრულებები:

ჟ.ა) საწვავ-საცხები მასალებით გამართვის მომსახურებაზე, გარდა 5700 კგ და ნაკლები მაქსიმალური ასაფრენი მასის და არაუმეტეს 19 სერტიფიცირებული სამგზავრო ადგილის მქონე საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მიღების ან მოქმედების ვადის გაგრძელებისას, აფრენა-დაფრენისა და სახმელეთო მომსახურების სამუშაოთა უზრუნველყოფაზე, სამედიცინო მომსახურებაზე, საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფაზე (თუ ექსპლუატანტს არ გააჩნია საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის სამსახური), მიწისზედა მომსახურებაზე (თუ ექსპლუატანტს არ გააჩნია მიწისზედა მომსახურების სამსახური);

ჟ.ბ) სააგენტოს მიერ სერტიფიცირებულ/ალიარებულ სასწავლო დაწესებულებასთან (საავიაციო პერსონალის თეორიულ მომზადებაზე, საწაფზე მომზადებაზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე);

ჟ.გ) საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანიზაციასთან (აერონავიგაციური, რადიოშუქტექნიკურ მომსახურებაზე და წინასაფრენოსნო ინფორმაციით უზრუნველყოფაზე), ავიამეტეოროლოგიურ მომსახურებაზე (ფრენის მარშრუტზე და აფრენა-დაფრენის მეტეოროლოგიურ მომსახურებაზე);

ჟ.დ) სხ-ის ფრენის ინფორმაციის გაშიფვრისა და ანალიზის უზრუნველყოფაზე, (თუ ექსპლუატანტს არ გააჩნია თავისი ფრენის ინფორმაციის გაშიფვრისა და ანალიზის სამსახური) გარდა 5700 კგ და ნაკლები მაქსიმალური ასაფრენი მასის და არა უმეტეს 19 სერტიფიცირებული სამგზავრო ადგილის მქონე საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მიღების ან მოქმედების ვადის გაგრძელებისას;

ჟ.ე) სხ-ის ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფაზე, რომელსაც ითანხმებს სააგენტო.

რ) „ფრენის შესრულების სახელმძღვანელო“, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს იკაოს ოფიციალური გამოცემის Doc 9376-AN⁹/914 („ფრენების წარმოების სახელმძღვანელო“), ჩიკაგოს კონვენციის მე-6 დანართისა და სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №203 ბრძანებით დამტკიცებული „თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესის“ მოთხოვნებს; „ფრენის შესრულების სახელმძღვანელო“ უნდა შეიცავდეს სახიფათო ტვირთის გადაზიდვის პირობებს იკაოს ოფიციალური გამოცემის Doc 9284-AN⁹/928 („სახიფათო ტვირთის უსაფრთხო გადაზიდვის ტექნიკური ინსტრუქციის“) შესაბამისად და სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას წარმოქმნილი ავარიული ვითარებისას განსახორციელებელი ქმედებების შესახებ ინფორმაციას იკაოს ოფიციალური გამოცემის Doc 9481-AN⁹/928 („საჰაერო ხომალდზე სახიფათო ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ინციდენტების დროს წარმოქმნილი ავარიული ვითარებისას მოქმედებათა თანმიმდევრობის ინსტრუქცია“) მოთხოვნების შესაბამისად, მიუხედავად იმისა, გეგმავს თუ არა განმცხადებელი სახიფათო ტვირთის გადაზიდვას.

ს) „ფრენის შესრულების სახელმძღვანელოს“ A, B, C, D ნაწილის, MEL-ის და „ბორტგამყოლთა სახელმძღვანელოს“ სპეციალური კითხვარი - შევსებული სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად (სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი www.gcaa.ge);

ტ) განმცხადებლის მიერ სახიფათო ტვირთების (ნაკეთობების) გადაზიდვების დაგეგმვისას:

ტ.ა) საავიაციო პერსონალის მომზადების პროგრამა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთები (სერტიფიკატების ასლები) სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს იკაოს ოფიციალური გამოცემის (Doc 9284-AN⁹/928)-ის („სახიფათო ტვირთის უსაფრთხო გადაზიდვის ტექნიკური ინსტრუქციის“) და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2011 წლის 23 ივნისის №56 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესის“ მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, გეგმავს თუ არა განმცხადებელი სახიფათო ტვირთების გადაზიდვას.

ტ.ბ) „სახიფათო ტვირთის (ნაკეთობების) გადაზიდვის სახელმძღვანელო“ რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს იკაოს ოფიციალური გამოცემის (Doc 9284-AN⁹/928)-ის

(„სახიფათო ტვირთის უსაფრთხო გადაზიდვის ტექნიკური ინსტრუქციის“) და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 23 ივნისის №56 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესის“ მოთხოვნებს;

უ) ინფორმაცია დაგეგმილი ფრენების შესახებ, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს ფრენის რაიონების გეოგრაფიული კოორდინატების მიხედვით, ბაზირების ქვეყნების მითითებით.

ფ) „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების მართვის სახელმძღვანელო“, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ჩიკაგოს კონვენციის მე-6 დანართის პირველი ნაწილის 11.2 პუნქტის და მე-3 ნაწილის მე-2 სექციის 9.2 პუნქტის მოთხოვნებს.

ქ) „ხარისხის მართვის სახელმძღვანელო“, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტს „ISO 9001 ხარისხის მართვის სისტემები-მოთხოვნები“;

ღ) სხ-ის ტექნიკური მომსახურების პროგრამა“, შემუშავებული სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №203 ბრძანებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესის“ მოთხოვნების და სხ-ის მწარმოებლის ინსტრუქციების საფუძველზე;

ყ) მიწისზედა მომსახურების სახელმძღვანელო, რომელიც უნდა მოიცავდეს პერსონალის მომზადების პროგრამას.

მომსახურების საფასური:

სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიცირება:

სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიცირება:

ა) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის გაცემაზე განაცხადისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება/დასკვნის მომზადება/სერტიფიკატის გაცემა (ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ების გარდა) – 12500 ლარი“;

ა.ა) დამატებითი საფასურის განაკვეთი სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის დანართში თითოეული სხ-ისათვის სხ-ის ტიპის მიხედვით:

ა.ა.ა) 5700 კგ-მდე სხ-ებისთვის – 500 ლარი;

ა.ა.ბ) 5701 კგ-15000კგ სხ-ებისთვის – 750 ლარი;

ა.ა.გ) 15001 კგ-90000კგ სხ-ებისთვის – 1000 ლარი;

ა.ა.დ) 90000 კგ-ზე მეტი სხ-ებისთვის –1250 ლარი;

ბ) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება/ვადის გაგრძელება (ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ების გარდა) – 5000 ლარი;

გ) სხ-ის ექსპლუატანტის შეჩერებული სერტიფიკატის მოქმედების ვადის აღდგენაზე განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება/მოქმედების ვადის აღდგენა (ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ების გარდა) – 7500 ლარი;

დ) სხ-ს ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართში სხ-ის შეტანა (ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ების გარდა):

დ.ა) 5700 კგ-მდე სხ-ებისთვის – 500 ლარი;

დ.ბ) 5701 კგ-15000კგ სხ-ებისთვის – 750 ლარი;

დ.გ) 15001 კგ-90000კგ სხ-ებისთვის – 1000 ლარი;

დ.დ) 90000 კგ-ზე მეტი სხ-ებისთვის – 1250 ლარი;

ე) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართში ცვლილებების შეტანა, გარდა სხ-ის დანართიდან ამოღებისა – 125 ლარი;

ვ) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №2 დანართის გაცემაზე განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება/№2 დანართის გაცემა თითოეული სხ-ისათვის სხ-ის ტიპის მიხედვით:

ვ.ა) 5700 კგ-მდე სხ-ებისთვის – 500 ლარი;

ვ.ბ) 5701 კგ-15000კგ სხ-ებისთვის – 750 ლარი;

ვ.გ) 15001 კგ-90000კგ სხ-ებისთვის – 1000 ლარი;

ვ.დ) 90000 კგ-ზე მეტი სხ-ებისთვის – 1250 ლარი.

ზ) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის გაცემაზე განაცხადისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება/დასკვნის მომზადება/სერტიფიკატის გაცემა ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ებისთვის – 1250 ლარი;

ზ.ა) დამატებითი საფასურის განაკვეთი სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართში თითოეული საჰაერო ხომალდისათვის – 150 ლარი;

თ) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება/მოქმედების ვადის გაგრძელება (ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ებისთვის) – 750 ლარი;

ი) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართში სხ-ის შეტანა (ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ებისთვის) – 150 ლარი;

კ) შეჩერებული სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადის აღდგენაზე განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება/მოქმედების ვადის აღდგენა (ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ებისათვის) – 1150 ლარი;

ლ) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართში ცვლილების შეტანა, გარდა სხ-ის დანართიდან ამოღებისა ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ებისთვის – 65 ლარი;

მ) სხ-ს ექსპლუატანტებისათვის სახიფათო ტვირთის გადაზიდვის უფლების მინიჭებაზე განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება/სახიფათო ტვირთის გადაზიდვის უფლების მინიჭება – 1250 ლარი;

ნ) ფრენის შესრულების სახელმძღვანელოს ახალი რედაქციის დამტკიცება – 250 ლარი;

ო) ფრენის შესრულების სახელმძღვანელოში ცვლილებების შეტანა – 75 ლარი ერთი რევიზია;

პ) უსაფრთხოების მართვის სისტემის (SMS) ახალი რედაქციის დამტკიცება – 250 ლარი;

ჟ) უსაფრთხოების მართვის სისტემაში (SMS) ცვლილებების შეტანა – 75 ლარი;

რ) ფრენის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროგრამების ახალი რედაქციის შეთანხმება – 150 ლარი;

ს) ფრენის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პროგრამებში ცვლილებების შეტანა – 75 ლარი.

- ტ) საფრენოსნო-ტექნიკური პერსონალის მომზადების პროგრამების შეთანხმება – 150 ლარი;
- უ) საფრენოსნო-ტექნიკური პერსონალის მომზადების პროგრამებში ცვლილებების შეტანა – 40 ლარი;
- ფ) საფრენოსნო საექსპლუატაციო სპეციალური დებულებების შეთანხმება – 150 ლარი;
- ქ) საფრენოსნო საექსპლუატაციო სპეციალურ დებულებებში ცვლილებების შეტანა – 50 ლარი;
- ღ) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის და დანართების დუბლიკატების გაცემა – 125 ლარი;
- მე-2 სამუშაო დღეს – 200 ლარი“;
- ყ) მიწისზედა მომსახურების სახელმძღვანელოს ახალი რედაქციის შეთანხმება – 250 ლარი;
- ყ.ა) მიწისზედა მომსახურების სახელმძღვანელოში ცვლილებების შეტანა – 75 ლარი;

საკონტაქტო ინფორმაცია: სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, 0158, თბილისი, აეროპორტი

ფრენის სტანდარტების, სერტიფიცირებისა და ინსპექტორების დეპარტამენტი

ტელ: (+995 32) 2 94 80 09; ფაქსი: (+995 32) 2 94 80 09 / E-mail: flightstandards@gcaa.ge
ვებგვერდი: www.gcaa.ge